საქართველოს ოჯახის ექიმთა ასოციაციის ფინანსური პოლიტიკა

შინაარსი

შინაარსი 1
ფინანსური მართვის პრინციპები: 1
ბიუჯეტირება: 2
შემოსავლის წყაროები: 2
ვალდებულებებისა და პასუხისმგებლობის გადანაწილება 3
საბანკო ტრანზაქციები 3
ნაღდი ფული 3
საბუღალტრო პროგრამა 4
ფინანსური ანგარიშები 4
ფინანსური კონტროლის მექანიზმები 4
პროექტის მიმდინარე კონტროლი: 4
ხარჯების ანაზღაურება 4
შესყიდვები 5
შესაბამისობა კანონმდებლობასთან. 5
ინტერესთა კონფლიქტის არარსებობა 6
ფინანსური პოლიტიკის გადახედვის ვადა 6

ფინანსური მართვის პრინციპები:

ასოციაციის ფინანსური მართვა ეფუძნება შემდეგ პრინციპებს:

- სამართლებრივი და მარეგულირებელი მოთხოვნების დაცვა;
- გამჭვირვალობა ფინანსურ ანგარიშგებაში;
- გონივრული ფინანსური გადაწყვეტილებების მიღება

ბიუჯეტირება:

ორგანიზაციას არ აქვს სტაბილური შემოსავალი, ფინანსური შემოსავალი დამოკიდებულია მის მიერ განხორციელებულ პროექტებზე და გრანტებზე. ასოციაციის თანამშრომლები რეგულარულ ანაზღაურებას არ იღებენ. თანამშრომლების ანაზღაურების გაცემა ხდება პროექტის განხორციელებისას შესრულებული სამუშაოს მიხედვით. ორგანიზაცია ფუნქციონირებს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ბაზაზე.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ორგანიზაცია არ აქვს წლიური ბიუჯეტი. ბიუჯეტის შემუშავება ხდება კონკრეტული პროექტის ან გრანტის მიღების წინ, დონორის მოთხოვნების გათვალისწინებით.

გრანტის/პროექტის განხორციელების დაწყებამდე, დონორთან თანხმდება დეტალური ბიუჯეტი და მთელი პროექტის მანძილზე ორგანიზაცია ოპერირებს წინასწარ დამტკიცებული ფინანსური დოკუმენტის შესაბამისად

თუ პროექტის მსვლელობისას აუცილებელი გახდა ბიუჯეტში ცვლილების შეტანა, მაშინ ორგანიზაცია მოქმედებს შემდეგი პროცედურით:

- ცვლილებების მიზეზების დადგენა და შესაძლო ვარიანტების ძიება, რომ პროექტი გახორციელდეს ფინანსური დოკუმენტის ცვლილების გარეშე, ისე, რომ არ დაზარალდეს პროექტის მიზნები. განხილვაში მონაწილეობენ პროექტის მმართველი და პროექტზე ზედამხედველობის გუნდი.
- ცვლილებების აუცილებლობის დასაბუთება.
- შესაძლო ცვლილების დეტალური ასახვა და დონორისათვის მიწოდება ცვლილებების აუცილებლობის დასაბუთებასთან ერთად.
- დონორის თანხმობის შემთხვევაში, ბიუჯეტში ცვლილებების შეტანა და ახალი ბიუჯეტით ხელმძღვანელობა პროექტის გახორციელების დარჩენილ პერიოდში.

შემოსავლის წყაროები:

საქართველოს ოჯახის ექიმთა ასოციაცია პროფესიული ასოციაციაა, რომლის მიზანია ქვეყანაში დარგის განვითარების ხელშეწყობა. პროექტები და გრანტები, რომლის განხორციელებაშიც ასოციაცია იღებს მონაწილეობას, მიმართულია პირველადი ჯანდაცვის რგოლის გაძლიერებისაკენ ქვეყანაში და შეიძლება მოიცავდეს საგანმანათლებლო აქტივობას, სასწავლო კურსის შემუშავებას, კლინიკური პრაქტიკის ეროვნული რეკომენდაციის/პროტოკოლის ან გაიდლაინის შემუშავებას, პირველადი ჯანდაცვის რგოლის განვითარებისთვის ცვლილებების/რეფორმის დაგეგმვაში მონაწილეობას, მდგომარეობის შეფასებას ადგილზე ვიზიტების ჩათვლით, სხვადასხვა პროცესის ზედამხედველობას და სხვა. აქტივობებს, რომლის მიზანი შეესაბამება ასოციაციის წესდებას.

შემოსავლის წყაროები არის არასამთავრობო და სამთავრობო პროექტები/გრანტები, რომელთა შინაარსიც შეესაბამება ასოციაციის მიზნებს.

ვალდებულებებისა და პასუხისმგებლობის გადანაწილება

პროექტის ფარგლებში ბიუჯეტის დამტკიცებაში მონაწილეობას იღებს: ასოციაციის თავმჯდომარე, თავმჯდომარის მოადგილე, ასოციაციის პროექტების მმართველი გუნდი.

საბანკო ტრანზაქციები

საქართველოს ოჯახის ექიმთა ასოციაციის მიერ ნებისმიერი ანგარიშსწორება ხდება საბანკო ტრანზაქციის გზით. ტრანზაქციების ნუსხა მზადდება პროექტის მმართველის მიერ და დასტურდება ასოციაციის თავმჯდომარის ან თავმჯდომარის მოადგილის მიერ სიტყვიერად წერილობითი სახით. (მათ შორის, ელექტრონული ფოსტით). სიტყვიერი დასტური მიიღება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გადასარიცხი თანხა და მიზნობრიობა ზუსტ თანხვედრაშია ბიუჯეტით გაწერილ პუნქტთან და თანხის ოდენობასთან.

მზა ტრანზაქციების ნუსხა, ვიზირებული პროექტის მმართველის მიერ, გადაეცემა პროექტის ბუღალტერს საბუღალტრო პროგრამაში შესაყვანად და საგადასახადო ვალდებულებების გასასწორებლად.

ასოციაციის განვითარებისათვის და საჭიროებებისათვის (მაგალითად, ვებგვერდის აღდგენა, ასოციაციის წევრისთვის სასწავლო კურსის დაფინანსება) თანხის განკარგვა ხდება ასოციაციის გამგეობის კრების მიერ დამტკიცებული ოქმის საფუძველზე, თუ თანხა აღემატება 5000 ლარს. 5000 ლარის ფარგლებში თანხის განკარგვა შეიძლება მოხდეს ასოციაციის თავმჯდომარის ან თავმჯდომარის მოადგილის მიერ ერთპიროვნულად იმ შემთხვევებში, თუ მიზნობრიობა არის:

- უწყვეტი პროფესიული განვითარების პროგრამის აკრედიტაცია
- ტენდერისთვის საჭირო საგარანტიო თანხის შეტანა
- უწყვეტი პროფესიული განვითარების პროგრამის მომზადება.

ნაღდი ფული

ნაღდი ფულის საჭიროების შემთხვევაში (მსმენელების მგზავრობა ან რაიმე სხვა საჭიროება) ფულის გაცემა ანგარიშვალდებულ პირზე ხდება საბანკო ტრანზაქციის სახით. თითოეულ ტრენინგზე/ღონისძიებაზე ანგარიშვალდებულ პირს ხელზე აქვს არაუმეტეს 1000 ლარისა. პროექტების დაგეგმვისას უნდა მოხდეს გათვალისწინება, რომ ნაღდი ფულის გადატანა მოხდეს მხოლოდ ამ ოდენობის ფარგლებში და 1000 ლარზე მეტი ნაღდი ფულის გადატანის აუცილებლობისას უნდა განხორციელდეს კანონმდებლობით გათვალიწინებული დამატებითი უსაფრთხოების ღონისძიებები.

საბუღალტრო პროგრამა

ასოციაცია ფინანსურ აღრიცხვას აწარმოებს საერთაშორისო საბუღალტრო პროგრამა ORIS-ში.

ფინანსური ანგარიშები

ფინანსური ანგარიშების წარმოება ხდება კონკრეტული დონორის მიერ მოთხოვნილი ფორმატით, პროექტის დასრულების შემდეგ. თუკი კონკრეტული დონორი ითხოვს შუალედურ ანგარიშს, შესაბამისი დოკუმენტი მზადდება და მიეწოდება დონორს. ანგარიშის გამზადება ხდება პროექტების მმართველის მიერ, ვიზირებას ახორციელებს ასოციაციის თავმჯდომარე ან თავმჯდომარის მოადგილე.

წლის ბოლოს ფინანსური ანგარიში მზადდება ასოციაციების პროექტების მმართველი გუნდის მიერ. ფინანსური ანგარიში შეიცავს შემდეგ ინფორმაციას:

1. წლის განმავლობაში შემოსული თანხის ოდენობა ჯამურად და ჩაშლილი წყაროების მიხედვით;
2. გაცემული თანხის ოდენობა დაჯგუფებული შემდეგ პუნქტებად:
   - პროექტის დასახელების მიხედვით
   - პროექტის ლოგისტიკური უზრუნველყოფა
   - ტრენერების/ფასილიტატორების ხელფასები
   - პროექტის ადმინისტრირების ხელფასები

ანგარიში წარედგინება ასოციაციის თავმჯდომარეს და მოადგილეს.

ფინანსური კონტროლის მექანიზმები

პროექტის მიმდინარე კონტროლი:

პროექტის ხანგრძლივობიდან გამომდინარე, რეგულარულად, მინიმუმ 6 თვეში ერთხელ, მიმდინარეობს პროექტების შუალედური შიდა აუდიტი.

აუდიტში მონაწილეობს პროექტის ზედამხედველობის გუნდი, რომელიც ადგენს შეესაბამება თუ არა ხარჯები და შემოსავლები პროექტით გათვალისწინებულ წინასწარ დაგეგმილ თანხებს და პუნქტებს.

გარე ფინანსური აუდიტი ტარდება მინიმუმ 2 წელიწადში ერთხელ ასოციაციის ხარჯებით, თუ ამ პერიოდში დონორის მიერ არ ჩატარდა აუდიტი.

ხარჯების ანაზღაურება

პროექტის ფარგლებში სამივლინებო ხარჯების ანაზღაურება ხდება შემდეგი წესით:

- პროექტის დაგეგმვისას წინასწარ ფიქსირებული თანხის გაცემა პროექტში გათვალისწინებული ტარიფით არასაცხოვრებელ ადგილას სამუშაო დღეების რაოდენობის მიხედვით.
- თუ ტრენერი, დაქირავებული პირი წარადგენს სასტუმროსა და მგზავრობის ხარჯების დამადასტურებელ დოკუმენტაციას, აღნიშნული თანხიდან არ ხდება საშემოსავლო და საპენსიო გადასახადის გადახდა.
- თუ ტრენერი, დაქირავებული პირი არ წარადგენს დოკუმენტაციას, თანხის გაცემა ხდება გადასახადების გამოკლებით.
- არასაცხოვრებელ ადგილზე სამუშაო დღეების მიხედვით ხდება სახელმწიფოს მიერ გათვალისწინებული სამივლინებო თანხის გამოყოფა და ამ თანხიდან, დოკუმენტაციის წარდგენის მიუხედავად, არ ხდება გადასახადების გადახდა.
- მოშორებულ ადგილებში მივლინებისას, სადაც ერთი დღის სამუშაოს ჩასატარებლად საჭიროა დამატებითი დღე მგზავრობისათვის, გამოიყოფა მგზავრობისათვის დამატებითი დღის სამივლინებო თანხა.
- ტრენერთან/პროექტში დაქირავებულ სხვა პირთან შეთანხმებით, შესაძლებელია ასოციაციის მიერ სასტუმროს და მგზავრობის ხარჯების წინასწარი გადარიცხვა სასტუმროს ინვოისის საფუძველზე.

შესყიდვები

ასოციაცია შესყიდვებს ახორციელებს:

- პროექტის ფარგლებში საჭიროების მიხედვით, და
- ასოციაციის განვითარების საჭიროების მიხედვით.

შესყიდვის განხორციელება ხდება შემდეგნაირად:

პროექტის ფარგლებში განხორციელებული შესყიდვები მიმდინარეობს ბიუჯეტის შესაბამისად პროექტის მმართველის მიერ.

თუ შესყიდვის ობიექტის ღირებულება აღემატება 100 ლარს. ასეთ შემთხვევაში მიმდინარეობს ბაზრის წინასწარი შესწავლა (მინიმუმ 3 მომწოდებლის მონაცემები), ფასის და სპეციფიკაციების გათვალისწინებით ოპტიმალური ვარიანტის შერჩევა, პროექტების მმართველი გუნდის მიერ გადაწყვეტილების მიღება და ასოციაციის თავმჯდომარის ან თავმჯდომარის მოადგილის ვიზირებით.

შესაბამისობა კანონმდებლობასთან.

საქართველოს ოჯახის ექიმთა ასოციაციის ფინანსური ოპერაციები შესაბამისობაშია არსებულ კანონმდებლობასთან.

ინტერესთა კონფლიქტის არარსებობა

ინდუსტრიასთან ურთიერთობა - ფარმაცევტულ თუ სხვა ინდუსტრიასთან ურთიერთობა უნდა იყოს დეკლარირებული და შეესაბამებოდეს ექიმის საქმიანობის წესებში გაწერილ ნორმებს.

საქართველოს ოჯახის ექიმთა ასოციაცია აცხადებს, რომ მიუღებელია ნებისმიერი სახის ურთიერთობაში ან გარიგებაში ჩართვა, რომელიც საფრთხეს უქმნის როგორც ასოციაციის ძირითადი მიზნების მიღწევას, ასევე კონკრეტული პროექტის ინტერესებს, კერძოდ, პროფესიულ და აკადემიურ დამოუკიდებლობას და პაციენტის ჯანმრთელობის საუკეთესო ინტერესების შესაბამისად ასოციაციის წევრთა საქმიანობას და ფინანსურ გამჭვირვალობას.

განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ასოციაციის საქმიანობის დაფინანსების წყაროების გულმოდგინე შერჩევას, ისე, რომ გამორიცხული იყოს ინდუსტრიის ნებისმიერი ზეგავლენა პროფესიული ასოციაციის საქმიანობაზე.

ინტერესთა კონფლიქტის ნებისმიერი ფაქტის შესახებ ასოციაციის წევრმა უნდა მოახდინოს ასოციაციის თავმჯდომარის და თავმჯდომარის მოადგილის წერილობითი ინფორმირება. შეტყობინების საფუძველის შესწავლა ხდება გამგეობის მიერ.

ფინანსური პოლიტიკის გადახედვის ვადა

პოლიტიკის რევიზია უნდა მოხდეს 3 წელიწადში ერთხელ. წინამდებარე ვერსიის დამტკიცების თარიღია 30/05/2022.

მომდევნო გადახედვის თარიღი: 30/04/2024

გურამ კიკნაძე

ასოციაციის გამგეობის თავმჯდომარე

30 მაისი, 2022 წელი